1)

რამდენი სრული მეტრი და სანტიმეტრია 540 სანტიმეტრში?

ა) 5 მ ბ) 5 მ და 40 სმ გ) 5 მ და 4 სმ დ) 54 მ

2)

მარის a რაოდენობის ნიჟარა აქვს, ლიკას - მარიზე 4-ჯერ მეტი, რომელი ტოლობა გიჩვენებს ორივეს ნიჟარების რაოდენობას?

ა) $a + a + 4 = 2a + 4$

ბ) $4a - a = 3a$

გ) $a + \frac{a}{4} = \frac{5}{4}a$

დ) $a + 4a = 5a$

3)

4 ერთნაირი კალმახი იწონის 900 გრამს. რამდენს იწონის 6 ასეთივე კალმახი?

ა) 1800 გ

ბ) 1 კგ და 350 გ

გ) 1 კგ და 400 გ

დ) 1300 გ

LIVEWORKSHEETS

4)

ცხრილით მოცემულია ერთ-ერთი სკოლის სამ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა:

მოსწავლეები

კლასი	რაოდენობა
I	15
II	30
III	20

ქვემოთ გამოსახული რომელი დიაგრამა შეიძლება გვიჩვენებდეს ამ მონაცემებს?

ა)



ბ)



გ)



დ)



LIVEWORKSHEETS

5)

ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა მცდარი?

ა) წილადის მხოლოდ მრიცხველის 3-ით გადიდებით წილადი გაიზრდება

ბ) წილადის მხოლოდ მნიშვნელის 3-ით გადიდებით წილადი შემცირდება

გ) წილადის მხოლოდ მრიცხველის 3-ით გადიდებით წილადი შეიძლება უცვლელი დარჩეს

დ) თუ წილადის მნიშვნელი 3-ზე მეტია და მას (მხოლოდ მნიშვნელს) 3-ით შევამცირებთ, წილადი შემცირდება

6)

ნახაზზე მოცემულია რიცხვითი სხივი. გამოსახე რიცხვების: $1\frac{1}{3}$ და $\frac{8}{6}$ შესაბამისი წერტილები და დააწერე რიცხვით სხივს



LIVEWORKSHEETS

7) ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით გაარკვიე, რიცხვების რომელი წყვილი შეესაბამება ეიფელის კოშკის მდებარეობას.



ა) (2; 2)

ბ) (2; 3)

გ) (3; 2)

დ) (3; 3)

8) ერთი უჯრედის ფართობია 2 სმ². რის ტოლია გამუქებული ფიგურის ფართობი?

ა) 7 სმ²

ბ) 9 სმ²

გ) 14 სმ²

დ) 18 სმ²



LIVEWORKSHEETS

9)

შემოხაზე სწორი წინადადება:

ა) მახვილკუთხა სამკუთხედში ერთი კუთხე ბლაგვია.

ბ) ბლაგვკუთხა სამკუთხედში სამივე კუთხე მახვილია.

გ) მართკუთხა სამკუთხედში ერთი კუთხე ბლაგვია.

დ) მახვილკუთხა სამკუთხედში სამივე კუთხე მახვილია.

10)

თუ რიცხვის წაკითხვაში გვხდება ტრილიონი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რამდენნიშნა არ შეიძლება იყოს ეს რიცხვი?

ა) 18 ბ) 16 გ) 14 დ) 12

11)

$5\frac{4}{7}$ იკითხება შემდეგნაირად?

ა) ოთხი მთელი ხუთი მეშვიდედი ბ) ორმოცდათოთხმეტი მეშვიდედი

გ) ხუთი მთელი ოთხი მეშვიდედი დ) ორმოცდაჩვიდმეტი მეოთხედი

12)

რიცხვი 2700012030 თანრიგის ერთეულების 10-ის ხარისხებზე ნამრავლების ჯამის სახით ჩაწერე ცარიელ უჯრაში

LIVEWORKSHEETS

13)

16 27 64 75 81 100

ჩამოთვლილთაგან რამდენი ორნიშნა რიცხვი არის რაიმე ნატურალური რიცხვის კვადრატი:

ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

14)

შემოხაზე სწორი უტოლობა:

ა) 987654321>1023456789 ბ) 123456987<9876542

გ) 1070890654>1070809654 დ) 9080706050<9080700650

15)

მოცემული რიცხვის 630047003813 მოკლე სიტყვიერი ჩანაწერია:

ა) 6 ტრილიონ 30 მილიარდ 47 მილიონ 3 ათას 813

ბ) 6 მილიარდ 300 მილიონ 47 ათას 813

გ) 63 მილიარდ 47 მილიონ 3 ათას 813

დ) 630 მილიარდ 47 მილიონ 3 ათას 813

16)

ყუთში მხოლოდ თეთრი და ყვითელი ბურთები აწყვია. ბურთების $\frac{5}{6}$ ნაწილი თეთრია, ხოლო 8 - ყვითელი. რამდენი ბურთია ყუთში?

ა) 48 ბ) $8\frac{5}{6}$ გ) 40 დ) $\frac{40}{6}$

17)

გამოთვალე $7\frac{2}{9} - 2\frac{4}{9}$ და შემოხაზე სწორი პასუხი:

ა) $5\frac{2}{9}$ ბ) $4\frac{2}{9}$ გ) $5\frac{7}{9}$ დ) $4\frac{7}{9}$

LIVEWORKSHEETS

18)

შეადარე რიცხვები და ცარიელ უჯრაში ჩასვი =, < ან >ნიშანი:

$4\frac{2}{5}$		$\frac{21}{5}$
$5\frac{3}{4}$		$\frac{46}{8}$

19)

რისი ტოლია 20-ის გამყოფთა ჯამი?

ა) 9 ბ) 19

გ) 42 დ) 21

20)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია $(x + 187) \cdot 41$ გამოსახულების ტოლი?

ა) $x + 187 \cdot 41$ ბ) $(41 + 187) \cdot x$

გ) $x \cdot 41 + 187$ დ) $x \cdot 41 + 187 \cdot 41$

LIVEWORKSHEETS

21)

ცხრილის ყველა სვეტი პირველი სვეტის შესაბამისადაა შევსებული:

b	5	7	
5+3b	20	26	

ამ შესაბამისობის მიხედვით რომელი რიცხვები უნდა ეწეროს ცხრილის ბოლო სვეტის შესაბამისად პირველ და მეორე სტრიქონში?

ა) 4; 32 ბ) 4; 17

გ) 9; 72 დ) 9; 33

22)

ტბაზე ერთნაირი ნავებით 99 ადამიანი სეირნობს. თითო ნავში ზის 3 მასწავლებელი და 8 მოსწავლე. სულ რამდენი მასწავლებელი სეირნობს ნავით?

ამოხსნა დაწერე აქ: _____

პასუხი:

LIVEWORKSHEETS

23)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დიაგრამა გვიჩვენებს ერთ-ერთი მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვს, თუ ამ მუზეუმის შესახებ ცნობილია, რომ

- 2009 წლიდან დამთვალიერებელთა რიცხვი ყოველწლიურად იკლებდა, გარდა 2012 წლისა
- 2009 წელს რეგისტრირებული იყო დამთვალიერებლების რეკორდულად მაღალი რიცხვი

ა)



ბ)



გ)



დ)



LIVEWORKSHEETS

24)

ერთ-ერთი ოჯახის მიერ სამი თვის განმავლობაში გაზსა და ელექტროენერგიაში გადახდილი თანხა დიაგრამაზეა მოცემული:



დიაგრამის მიხედვით რომელი წინადადებაა მართებული?

ა) გაზში გადახდილი ჯამური თანხა აღემატება ელექტროენერგიაში გადახდილ ჯამურ თანხას

ბ) ელექტროენერგიაში გადახდილ ყველაზე დიდ თანხასა და გაზში გადახდილ ყველაზე მცირე თანხას შორის სხვაობა 30 ლარს აღემატება

გ) გაზში გადახდილ ყველაზე დიდ თანხასა და ელექტროენერგიაში გადახდილ ყველაზე მცირე თანხას შორის სხვაობა 30 ლარზე ნაკლებია

დ) ელექრტოენერგიის გადასახადი ყოველ თვეში აღემატებოდა გაზის გადასახადს

LIVEWORKSHEETS

25)

დიაგრამზე მოცემულია ოთხი ოჯახის ერთი თვის შემოსავალი და დანახარჯი:



დიაგრამის მიხედვით რომელი ოჯახის დანაზოგია ყველაზე ნაკლები?

ა) I ოჯახის

ბ) II ოჯახის

გ) III ოჯახის

დ) IV ოჯახის

LIVEWORKSHEETS

26)

ნახაზზე გამოსახული ფიგურები ერთნაირი მართკუთხედებითაა შედგენილი:



რომელი წინადადებაა სწორი:

ა) ამ ფიგურებიდან ყველაზე დიდი ფართობი მესამე ფიგურას აქვს

ბ) მესამე ფიგურის ფართობი მეტია პირველი ფიგურის ფართობზე

გ) პირველი და მეორე ფიგურების ფართობები ტოლია

დ) მეორე და მესამე ფიგურების ფართობები ტოლია

27)

ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ჩაიწეროს ცარიელ უჯრაში, რომ ფართობების სიდიდეები დალაგებული იყოს კლების მიხედვით.

18 მ², ☐, 16 მ²

ა) 170 დმ²

ბ) 1700 სმ²

გ) 1700 დმ²

დ) 17000 სმ²

LIVEWORKSHEETS

28)

ნახაზზე მოცემულია მართკუთხედი, რომლის ნაწილი დაფარულია გამუქებული ერთნაირი კვადრატებით.



გამოთვალე და შემოხაზე მართკუთხედის დარჩენილი ნაწილის ფართობი

ა) 10 კვ.სმ

ბ) 28 კვ.სმ

გ) 18 კვ.სმ

დ) 24 კვ. სმ

29)

კატო და ლაშა კომპიუტერზე თამაშობენ მათემატიკურ თამაშს. ყოველ სწორ პასუხზე თითოეულს ემატება 1 ქულა, ხოლო მცდარ პასუხზე აკლდება 1 ქულა. შეკითხვაზე: რის ტოლია 19 მეტრი გვერდის მქონე კვადრატის ფართობი, კატომ უპასუხა 361 მ და 1 ქულა დააკლდა, ხოლო ლაშას 1 ქულა მოემატა. რა უპასუხა ლაშამ?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

LIVEWORKSHEETS

30)

ცირკის არენა წარმოადგენს 13 მეტრი დიამეტრის მქონე წრეს. საცირკო ნომრის შესრულებისას ერთი კლოუნი არენის ცენტრში დგას, მეორე მაყურებელთა შორის დადის. შეიძლება თუ არა ამ კლოუნებს შორის მანძილი იყოს 6 მეტრი? პასუხი დაასაბუთე.



ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

31)

ლიკას სურს ხუთ მეგობარს აჩუქოს თავისი ყველა ფანქარი, აღმოჩნდა რომ მისი ფანქრების რაოდენობის გამომსახველი რიცხვი ბოლოვდება ციფრ 2-ზე. სულ მცირე რამდენი ფანქარი უნდა იყიდოს კიდევ ლიკამ, იმისათვის, რომ ყველა მეგობარს შეხვდეს თანაბარი რაოდენობის ფანქარი?

ამოხსნა დაწერე აქ:

LIVEWORKSHEETS

32)

ტურისტულმა ჯგუფმა გადაადგილება დაიწყო იმ კვადრატიდან, სადაც ხეა. მათ გაიარეს 1 უჯრა აღმოსავლეთით, 4 უჯრა სამხრეთით, 3 - დასავლეთით, 2- ჩრდილოეთით. მოხაზე ტურისტული ჯგუფის მოძრაობის ტრაექტორია.



LIVEWORKSHEETS